

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ
საქმეთა კომისიის სხდომის

ოქმი N 8

ქ. ვანი თავისუფლების N 65

19 სექტემბერი 2019 წელი

11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: კობა ტოხვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, თენგიზ დვალიშვილი, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, თამარ შენგელია.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა: ტარიელ ბარამიძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირი:

ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორი - გვანცა სიგუა.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - კობა ტოხვაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

დღის წესრიგი

1. ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ახალი სასწავლო წლის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხს. გვანცა სიგუა

გადაწყვეტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გვანცა სიგუამ კომისიის წევრებს გააცნო საბავშვო ბაღების გაერთიანების შესახებ ინფორმაცია, ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 24 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 700-მდე ბავშვი. მუნიციპალიტეტი მთლიანად აფინანსებს საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯს, უზრუნველყოფს საბავშვო ბაღების მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მოწოდებულ სასკოლო მზაობის პროგრამაში ჩაერთო ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ის ყველა საბავშვო ბაღი და სასკოლო ასაკის აღსაზრდელები.

სამუშაო პროცესი, რომლის დაგეგმვაც ხდება სასწავლო წლის დასაწყისში, ემყარება თემატურ პროცესს, სადაც კონკრეტული აქტივობებია მითითებული. ამ აქტივობებისათვის ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით გაწერილია ზუსტი დრო და ფორმები.

2019-2020 წლის სასწავლო წლისათვის ვანის მუნიციპალიტეტის ს/ბაღების გაერთიანებას 2 საბავშვო ბაღი დაემატა. ძულუხისა და მიქელეფონის საჯარო სკოლაში ს/ბაღებისათვის გამოიყო ფართი. გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ძულუხის ს/ბაღისათვის 64, 315 ლ ღირებულების, ხოლო მიქელეფონის ს/ბაღებისათვის 40,129ლ.

ასევე სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა მთისძირის ს/ბაღს 229,229 ლ ღირებულებით, ხოლო ქალაქის N2 ს/ ბაღი გადაყვანილ იქნა ახალ შენობაში, რომლის ღირებულებამ შეადგინა 208,277ლარი.

დაადგინეს: მოსმენილი ინფორმაცია მიღებული იქნას ცნობად.

/დანართიN2/

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2019 წლის მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმა:

1.ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „სულორი ვანის“ დირექტორის ანგარიში 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

2.ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი „აიეტის“ დირექტორის ანგარიში 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

3.ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ანგარიში 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

კომისიის წევრებმა მოიწონეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2019 წლის მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმა, რომელიც მზად არის გავიდეს ბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად.

/დანართიN3/

საკითხის ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კობა ტოხვაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ
საქმეთა კომისიის თავმჯდომარე